ახალი

განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

განთიადი

86 წელი თქვენთან ერთად!

2018 წელი 30 აპრილი № 4 № 8133

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com



პირველი კასპელი კანონმდებლები

მიმდინარე წლის 26 მაისს სრულდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლისთავი. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება; დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად, განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია და რეგულარული არმია, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემისა და დემოკრატიზაციის პროცესზე საუბრისას, პირველ რიგში, აღსანიშნავია საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები.

1919 წლის 14, 15, 16 თებერვალს გამართული არჩევნები, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულად შეიძლება ჩაითვალოს.

1917 წლის ნოემბერში მოწვეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არაპირდაპირი წესით არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1917 წლის ბოლოს გაჩნდა იდეა დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. თუმცა, პოლიტიკური მოუმზადებლობისა და კრიზისის გამო, გადაიდო სამომავლოდ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ზაფხულში ეროვნულმა საბჭომ დამფუძნებელი კრების არჩევის წესსა და საარჩევნო დებულებაზე დაიწყო მუშაობა. კანონმდებლობის მომზადება რამდენიმე თვეს გაგრძელდა, მასში ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური სუბიექტი იყო ჩართული.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (1918 წლის 8 ოქტომბრიდან პარლამენტად იწოდებოდა) დაამტკიცა კანონი – „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა", რომელიც 10 თავისა და 119 მუხლისგან შედგებოდა.

საქართველოს პარლამენტი და მის მიერ შედგენილი დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია არჩევნების გამართვას 1919 წლის გვიან გაზაფხულზე ვარაუდობდა. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი 1918 წლის 29 დეკემბერს კომისიის წინაშე ინიციატივით წარდგა, რომელიც არჩევნების 1919 წლის თებერვალში გამართვას უკავშირდებოდა. თარიღი საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩა. 1919 წლის იანვარში პარიზში იხსნებოდა სამშვიდობო კონფერენცია, რომლის მუშაობაში საქართველოს დელეგაციას აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა. განსაკუთრებით მნიშ

*დასასრული გვ-3.

კასპში ახალი პროფესიული სასწავლებელი აშენდება
გვ2.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება
გვ4.

საუკუნეებგამოვლილ, დიდგვაროვანთა მამულში
გვ4.

როგორ ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას
გვ2.

გამწვანების აქცია
გვ2.

სადგურ მეტეხის დასახლებაში გზის მოპირკეთება მიმდინარეობს
გვ2.

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნანინა„ კასპში
გვ2.

ივანე ჯავახიშვილის 142 წლისთავი
გვ2.

ძმები ხელოვნებიანი
გვ5.

„თუ ვინმე გიყვარს, თუ ვინმეც იცრთვი..
გვ8.

თუ თავადაც ძნელად იჯერებ
გვ3.

ქართული ენის დღე ფერმის სკოლაში
გვ8.

„ლაყლოვვილო ცხემშობლოვ ჩემო!„
გვ9.

თანადგომა
გვ6.

ქალთა ნამუშევრების გამოფენა
გვ6.

ხსოვნის ტურნირები კასპსა და თეზში
გვ7.

პრობლემებზე – საქმიან ვითარებაში
გვ7.

ბოლნისური ბონუსმონაგარი
გვ7.

როგორ ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის შესახებ შეხვედრა-ტრენინგი გაიმართა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა მესხმა შეხვედრის მონაწილეებს აზიური ფაროსანას და მისი კონტროლის საშუალებებზე ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ, დამჭერფერომონის, პესტიციდის და სხვათა შესახებ, რომლებიც მავნებელ მწერთან ბრძოლის წინააღმდეგ უნდა იქნეს გამოყენებული.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეცპროექტის მედიაჯგუფის წარმომადგენელმა გიგი არაბიძემ და ფსიქოლოგ - ტრენერმა მაია რაზმაძემ, ტრენინგის მონაწილეებს მოსახლეობისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდებასა და ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

ტრენინინგ-შეხვედრაზე დაისვა კითხვები, რომლთაც კომპეტენტური პასუხები გაეცა.

https://WWWfacebook.com/STOPBMSB

ეს არის აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბის ოფიციალური გვერდი. აქ განთავსდება ყველა ინფორმაცია - ტექსტობრივი და ვიზუალური, რომელიც შეეხება საქართველოში ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას.

სადგურ მეტეხის დასახლებაში გზის მოპირკეთება მიმდინარეობს

კასპის მუნიციპალიტეტის სადგურ მეტეხის დასახლებაში ცენტრალური გზის ბეტონით შესწორება - მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. 2 200 მ2 -ზე არსებული, დაზიანებული ბეტონის გზის დასუფთავება - გარეცხვის შემდეგ გზის სავალ ნაწილზე, ბეტონის დასხმის სამუშაოები დაიწყო, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ახალი ჭიათურა" ასრულებს.

სამუშაოების ღირებულება 49 389 ლარია და პროექტში ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირებას კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებს.

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ნანინა,, კასპში

21 აპრილს კასპის კულტურის ცენტრში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, Check-in Georgia - ს ფარგლებში ფესტივალი ,,ბაღია ჩვენი ქვეყანა" ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ნანინას" კონცერტი გაიმართა. ღონისძიება გაიხსნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის კასპის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული საგალობლებით. კონცერტი გაგრძელდა ,,ნანინას" რეპერტუარით, სადაც შესული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული სიმღერა. ანსამბლის მონაწილეები უკრავდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ანსამბლი ,,ნანინა" აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში, ფოლკლორულ საღამოებსა და კონცერტებში.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

კასპში ახალი პროფესიული სასწავლებელი აშენდება

საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ქალაქ კასპის პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის სამუშაოების ტენდერი გამოაცხადა.

გამარჯვებული კომპანიის შერჩევის შემდეგ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

პროფესიული სასწავლებელი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებას და შემდგომში მათ დასაქმებას.

გამწვანების აქცია

კასპის მუნიციპალიტეტში გამწვანების მორიგი აქცია ჩატარდა. საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა "ორქისმა" მუნიციპალიტეტს ნაძვის, ფიჭვის და ცაცხვის ნერგები ჩამოუტანა.

მუნიციპალიტეტმა ნარგავები ქალაქის ორ სკვერს, დოესის, მეტეხის, ქვემო გომის და კასპის №5 საბავშვო ბაღებს, ასევე სოფელ თვალადის ახლადაშენებულ საჯარო სკოლას გადასცა.

კასპის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ "ორქისი"-ს თანამშრომლობის განმავლობაში გამწვანების 4 აქცია ჩაატარდა, აღნიშნულისათვის კასპის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის კავშირს.

ივანე ჯავახიშვილის 142 წლისთავი

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 142 წლისთავი მშობლიურ სოფელ ხოვლეში, მის სახლ-მუზეუმში ღონისძიებით - ,,ივანე ჯავახიშვილი შვილების თვალით" აღინიშნა.

ღონისძიების ორგანიზატორები სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ, რომელთა მიზანიც დამსწრე საზოგადოებისათვის მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უფრო ახლოს გაცნობა იყო. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს უდიდესი მოღვაწის დამსახურება ქართველი ერის წინაშე.

მუზეუმთან არსებულმა ჯგუფმა "პატარა ქართველები" პატრიოტული ლექსებით გაალამაზეს ღონისძიება. ქართული მეცნიერების კორიფემ, ივანე ჯავახიშვილმა თანამემამულეებს თავისი ნაშრომების სახით უმნიშვნელოვანესი საგანძური დაუტოვა, რომ აღარაფერი ითქვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. "ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეემეტოქება და შეეზიარება" - აღნიშნავდა ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი. უნივერსიტეტის გახსნის წინა დღეებში, 1918 წლის 23 იანვარს ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა: "ივ. ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი - გუთნისდედობა თვით ქართული მძიმე ღრმადმხვნელი გუთნისა...

ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა მან გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ".

ნერილი №1

პირველი კასპელი კანონმდებლები



დასასრული

ვნელოვანი კი საყოველთაო არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენელთა გამგზავრება იყო. საქართველოს პარლამენტმა და მის მიერ შექმნილმა დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საპარლამენტო საარჩევნო კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება გაიზიარა. 1919 წლის 10 იანვრის პარლამენტის სხდომაზე მიიღეს კანონი – „დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნისა", რომელშიც წერია – „საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღედ დანიშნულ იქნეს მდგომარე წლის თებერვლის 14 (ახალი სტილით). დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია შეივსო წევრებით და შეუდგა აქტიურ მუშაობას.

1919 წლის იანვრის განმავლობაში მიმდინარეობდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტება. ამ მიზნით საარჩევნო კომისია აქტიურ მიმოწერას ახორციელებდა ერობებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. 22 იანვრიდან 26 იანვრამდე საარჩევნო კომისიამ განიხილა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა საკანდიდატო სიები და დაამტკიცა 15 საარჩევნო სუბიექტი.

საარჩევნო სუბიექტებს სიებში სხვადასხვა რაოდენობის კანდიდატები ჰყავდათ წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე მეტი – 130 კანდიდატი წარმოდგენილი ჰყავდა საქართველოს სოციალ- დემოკრატიულ მუშათა პარტიას, ხოლო ყველაზე მცირე, ერთი კანდიდატით არჩევნებზე წარდგენილი იყო შოთა რუსთაველის ჯგუფი-პარტია. საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებულ 15 საკანდიდატო სიაში, საერთო ჯამში წარმოდგენილი იყო 600 კანდიდატი, მათგან 26 ქალი.

1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში გაიმართა დამფუძნებელი კრების არჩევნები, თუმცა, რესპუბლიკის გარკვეულ ნაწილებში ბუნებრივი პირობებისა და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო არჩევნები გადაიდო. შემდგომში 2 დამატებითი არჩევნები გაიმართა.

1919 წლის 9 მარტის სხდომაზე, საქართველოს საპარლამენტო დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეაჯამა არჩევნების შედეგები და დაადგინა იმ პირთა სია, რომლებიც არჩეულნი იქნენ საკანონმდებლო ორგანოში. დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგად 130 მანდატი პოლიტიკურ სუბიექტებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: №1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 109 მანდატი; №2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 მანდატი; №3. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 მანდატი; №5. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია – 8 მანდატი.

დამფუძნებელი კრების წევრთა ბიოგრაფიების კვლევისას აღმოჩნდა ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, კასპის საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დღემდე ცნობილი არ იყო – დამფუძნებელი კრების 3 წევრი, აქედან ორი მათგანი, რომელმაც ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, კასპში დაბადებულები არიან.

გაგაცნობთ ამ ადამიანებს: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (საარჩევნო სუბიექტი №1) საკანდიდატო სიაში 48-ე ნომრად წარმოდგენილი იყო ლევან იასონის ძე ნათაძე, 85-ე ნომრად - ნიკოლოზ აღდგომელას ძე კაციაშვილი, ხოლო საქართველოს სოციალ-ისტ-რევოლუციონერთა პარტიის (საარჩევნო სუბიექტი №3) საკანდიდატო სიაში მე-5 ნომრად წარმოდგენილი იყო გრიგოლ იასონის ძე ნათაძე.

გაზეთის დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ ნიკოლოზ კაციაშვილის ბიოგრაფიას.

ნიკოლოზ (კოლა) აღდგომელას (ადამის) ძე კაციაშვილი დაიბადა 1875 წელს ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ქვემო გომში, მდიდარი გლეხის ოჯახში; ეროვნებით ქართველი. სწავლობდა ტფილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში, სადაც 4 კლასი დაასრულა; ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება. მოწაფეობისას დაინტერესდა პოლიტიკური ლიტერატურით და ჩაება სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში. 1899 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1905 წლიდან მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების ფრაქციაში"; ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში და ეწეოდა მეურნეობას; აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში გორის მაზრაში. რამდენჯერმე დააპატიმრეს პოლიტიკური საბაბით. 1907 წელს იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობის დელეგატი. 1907 წელს ნიკოლოზ კაციაშვილი აირჩიეს მეორე სახ-

ნიკოლოზ კაციაშვილი

ელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ტფილისის გუბერნიიდან; მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. 1907 წლის 3 ივნისს მეორე სახელმწიფო სათათბირო დაშალეს და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატები პასუხისგებაში მისცეს სისხლის სამართლის დებულების მე-100 და 102-ე მუხლებით, ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობის ბრალდებით. ნიკოლოზ კაციაშვილი იჯდა პეტერბურგის ციხეში, სადაც ჯანმრთელობა ძალიან შეერყა. საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ დაბრუნდა და ცხოვრობდა საკუთარ სოფელში, ქვემო გომში პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) დაცულია გიორგი ნატროშვილის მოგონება[1] რევოლიუციონერ კოლა კაციაშვილზე. აი, რას იგონებს ის:

"სოფელ ქვემო გომში, ღარიბი გლეხის ოჯახში, აღიზარდა კოლა აღდგომელას ძე კაციაშვილი, რომელმაც თავისი ახალგაზრდობა სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდინ შესწირა პროლეტარულ რევოლუციას. ამხ. კოლა მშობლებმა გამოზარდეს დიდი წვალებით. ამხ. კოლა სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჩაება 1904 წლიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. კოლასთან მოდიოდნენ გორის მაზრის სხვადასხვა სოფლის მუშები და აქტიური გლეხები, რომლებსაც კოლა რაზმავდა და ამზადებდა მათ ორგანიზაციულად. 1905 წელს კოლამ ჩამოაყალიბა მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც აწყობდნენ თავადებზე, კნიაზებსა და პოლიციელებზე თავდასხმებს.

1907 წელს ამხ. კოლა სოფლის პარტიულმა ორგანიზაციამ აირჩია მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრად. კოლასთან ერთად იყო სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან არჩეული 53 წევრი. როდესაც გაემგზავრნენ სოციალ დემოკრატიული მუშათა ფრაქციის წევრები, კოლა კაციაშვილმა წელზე შემოიკრა ორი გამხმარი მჭად-პურა და სათათბიროზედ რომ გავიდნენ, მინისტრებს წინ დაუწყო გამხმარი მჭადები და განუცხადა, - აი, ამით იკვებებიან მუშები და გლეხები და მოითხოვენ თქვენგან განთავისუფლებასო.

ამ მოთხოვნილებისთანავე სტოლიპინმა გასცა განკარგულება ფრაქციის ყველა წევრის დაპატიმრებისა, რომლებიც მოათავსეს პეტრე პავლეს ციხეში. გასამართლების შემდეგ ამხ. კოლა დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძო თავისი არალეგალური მუშაობა და არ გავიდა დიდი ხანი, რომ მთელი მათი ფრაქცია გასცა ღვდელმა სტეფანე ბაიდაშვილმა, რომლების შემადგენლობა მთლად გადაასახლეს ციმბირში. მხოლოდ გადარჩა კოლა კაციაშვილი. ამხანაგებმა დაავალეს კოლას, რომ სტეფანე ბაიდაშვილისათვის დაენიშნა პარტიული ტერორი."

ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს სოფ. ქვემო გომს ჰქონდა ერთოთახიანი საანბანო პატარა სასწავლებელი, სადაც მხოლოდ იტევდა 20 ბავშვს და ამ დროს კი სოფლის თავზე გადაჭიმული იყო კნიაჟნა ლიზა ზუმბულიზოვის დიდი მიწა ნაფუძარი. კოლამ მისცა კნიაჟნას წინადადება, რომ სოფლისათვის მიეცა სასკოლე ადგილი, რომ სოფელს გაეშენებინა სასწავლებელი. და მართლაც კოლამ, გლეხების დახმარებით ჩამოართვა კნიაჟნას ადგილი, სადაც დღეს გაშენებულია დიდი ქვითკირის შენობა ოთხ-წლედიანი სასწავლებელი და გლეხთა თეატრი, რომელ სკოლაშიაც იზრდებიან ღარიბი გლეხის შვილები". (მოგონება დაწერილია 1931 წლის 20 ნოემბერს).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ კაციაშვილი აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად, თუმცა ის 1919 წლის 19 თებერვალს ტიფით გარდაიცვალა და ვერ მოესწრო კრების სესიის გახსნას. მის მაგივრად კი დამფუძნებელ კრებაში შეიყვანეს საარჩევნო კომისიის მდივანი ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი, რომელიც 1937 წელს შინსახკომის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონულმა განყოფილებამ დააპატიმრა. ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდის, შოვინისტური განწყობების, ასევე მენშევიკთა ლიდერ ნოე რამიშვილთან კავშირის ბრალდებით, სოლოღაშვილს დახვრეტა მიუსაჯეს.

აი, რას წერდა გაზეთი "ერთობა" 1919 წლის 1 მარტს ნიკოლოზ კაციაშვილის დაკრძალვის შესახებ:

"ნ. კაციაშვილის დასაფლავება მოხდა კვირას, 23 თებერვალს, სოფელ ქვემო გომის ეკლესიის გალავანში.

დასაფლავებას დაესწრო ს. ქვემო გომის საზოგადოება და სახალხო გვარდია. სხვა ახლო-მახლო სოფლებიდან სიშორის გამო დაესწრნენ მხოლოდ წარმომადგენლები: ს. მეჯვრისხევიდან, ძეგვიდან, ახალქალაქიდან, კავთისხევიდან, ხაშურიდან, გორიდან და ბევრ სხვა ადგილებიდან.

ქალაქ თფილისიდან დასაფლავებას დაესწრნენ სასოფლო კომისიის, საქ. სოც. დ. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და გაზ. "ერთობის" წარმომადგენლები. საფლავზე წარმოთქმულ სიტყვებში ორატორები აღნიშნავდნენ განსვენებულ კაციაშვილის ოცი წლის თავდადებულ მოღვაწეობას მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ და მის მაღალ ზნეობას. სამგლოვიარო ჰიმნს უკრავდა ხაშურიდან ამხანაგების მიერ მოწვეული მუსიკა".

* • • • • • • • • •

გამოყენებული ლიტერატურა:
"პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში". 2017 წ. ავტორ-შემდგენლები: ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე.
"საქართველოს დამფუძნებელი კრება – 1919" - გამომცემელი „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია". 2017 წ.

ვანო ჯახუა

[1] ფონდი 93, აღწერა 2, საქმე 433.

საუკუნეებგამოვლილ, დიდგვაროვანთა მამულში

საბავშვო ბაღის შენობის მრავლისმეტყველი, მდიდარი წარსულით ამაყობენ, თავს იწონებენ მეტეხელები და არა მხოლოდ ისინი...

მე-17 საუკუნის ბოლოს, საქართველოსთვის ძნელბედობის ჟამს ჩვენი ქვეყნის ისტორიული, ძირძველი კუთხიდან, ტაო-კლარჯეთიდან წამოსული დიდგვაროვანი თუხარელები დასახლებულან ამ ადგილას. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია ისიც, რომ მათ 1780 წელს კათალიკოსმა ანტონ პირველმა უწყალობა მამული. ამდენად, ეს გახლავთ პირველი საარქივო ცნობა თუხარელების მეტეხში დამკვიდრების შესახებ.

ხოლო, რაც შეეხება საბავშვო ბაღის ამჟამინდელი შენობის მფლობელს, თუხარელების შთამომავალს, ვინმე, სიკო თუხარელს, იგი წლების წინ ქალაქ თბილისში გადასულა საცხოვრებლად და წასვლის შემდეგ კუთვნილი ადგილ-მამული, საცხოვრისი, აგრეთვე, ოჯახის წიგნადი ფონდი სოფლისთვის გადაუცია...

აი, ასეთი შთამაგონებელი წარსული აქვს თუხარელების ნაფუძარზე დამკვიდრებულ, ახლა უკვე რესტავრირებულ, გალამაზებულ ბაღს, რომლის საზეიმო გახსნას /19 მარტს/ ბევრი სტუმარი ეწვია...

თუმცა, "ახალსახლობამდე" გაცილებით ადრე, ათეული წლების წინ მეტეხელი პედაგოგებისა და დიასახლისების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე სოფელში გახსნილა საბავშვო ბაღი, რომლის პირველი მასწავლებელი ყოფილა გორის რაიონის სოფელ კარალეთის მკვიდრი ეკატერინე ზაზარაშვილი, რომელიც მეტეხში დაოჯახებულა და ატარებდა მეუღლის გვარსაც – ჭეჭელაშვილს, შემდეგ მას მეორე მასწავლებელი – ლუბა ბარნაბიშვილი-ბოგველი დაემატა, მოკლედ, ეს ორი მასწავლებელი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს და საპასუხისმგებლო ეტაპს...

– ერთჯგუფიანი იყო ჩვენი ბაღი, როდესაც მუშაობა დავიწყე, ცხადია, კონტინგენტის სიმცირის გამო, ამის უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, აქ არსებული არასასურველი პირობები და სააღმზრდელო პროცესებში ხელისშემშლელი გარემო ბევრ ოჯახს ზღუდავდა, ბავშვი აქ მოეყვანა, – აცხადებს მეტეხის საბავშვო ბაღის გამგე ნინო პატარქალაშვილი, – რომელი ერთი ჩამოვთვალო, მოძველებული და არასტანდარტული, მოუვლელი შენობა, თუ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების არარსებობა, ერთი სიტყვით, წლების განმავლობაში ეს მდგომარეობა მთელ სოფელს აწუხებდა.

იყო პერიოდი, თხუთმეტი-ოცი წლის წინ სკოლამდელ აღზრდას საგანმანათლებლო სისტემა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, ამიტომ მშობელთა დიდი ნაწილი ბავშვის შინ ყოფნას ამჯობინებდა, მართალია, ძალიან უჭირდა ოჯახს, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ იყო...

მთავრობის ბოლოდროინდელმა მიმართულებამ სრულიად შეცვალა რეალობა, ეს ყველაფერი ნათლად აისახა კიდეც მეტეხის საბავშვო ბაღის მაგალითზე, მასშტაბური და სასიკეთო ცვლილებების შედეგია ის ფაქტი, რომ როგორც იქნა, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ბაღს ეღირსა შესაფერისი ადგილსამყოფელი, გარემონტებული, ყველაფრით უზრუნველყოფილი, გალამაზებული, კომფორტული და მაღალი დონის სააღმზრდელო დაწესებულება.

სასიკეთო ცვლილებებმა, ყოველდღიურმა ზრუნვამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დღეის მდგომარეობით ბაღი ორჯგუფიანია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკადრო საკითხები, აღსაზრდელებს უდიდესი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ემსახურებიან აღმზრდელები: ეთერ და მერი მამულაშვილები, რუსუდან ლომსაძე, მათი თანაშემწეები: მარიამ ნაცვლიშვილი და ელენე ზუბიაშვილი, ნათია პაპუნაშვილი, მუსიკის მასწავლებელი თამარ ბახტაძე, ფსიქოლოგი ნინო კაპანაძე, მეთოდისტი შორენა როხვაძე, მზარეული ნაირა ახლოური, ექთანი ნელი ლალიაშვილი, დამლაგებლები: თინა იაძე და ნათია ქარცივაძე, დარაჯი გია შარიფაშვილი...

დღითიდღე იხვეწება, პროგრესული ხდება სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესი. ერთი სიტყვით, მოწესრიგებული, მშვიდი და საიმედო, მოვლილ-დასუფთავებული ეზო-მიდამო გარანტიას ქმნის საიმისოდ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება ბავშვთა კონტინგენტი, მიმდინარე წელს კი, მეტეხის საბავშვო ბაღის 21 კურსდამთავრებული შეაღებს სკოლის კარს...

ბაღის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი, მშობლები მადლობას უხდიან კასპის მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ მერებაშვილსა და კასპის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი მეზურნიშვილს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს მანანა ხვთისიაშვილს გაწეული დახმარებისა და მუდმივი ზრუნვისათვის.

თამარ მამულაშვილი, აღმზრდელი – ორი გოგონა მყავს და ორივე ბაღში დამყავს, ძალიან გახარებული და დაწყნარებული ვარ, რადგან გოგონები საიმედო ადგილზე მეგულებიან, თქვენ წარმოიდგინეთ, პირობებს, იმ სანიმუშო ეზო-მიდამოსა და არაჩვეულებრივ განწყობას, ბაღისადმი საერთო დამოკიდებულებას ალბათ, ვერც ვინატრებდით... მოძველებულ და უსახურ შენობაში, ძველ ადგილას პატარებს საშინელ პირობებში უწევდათ ყოფნა. დავიწყებ იმით, რომ ოთახს, სადაც ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს ატარებდნენ, არ ჰქონდა ფანჯარა, იყო სივიწროვე, ნესტი, გარდა ამისა, მოუწყობელი და მოუხერხებელი ეზო-მიდამოს გამო ბავშვებს არ ჰქონდათ გარეთ ყოფნის საშუალება, ზამთარში კი, ეზოში არსებულ საპირფარეშოში სიარულის გამო დისკომფორტი ექმნებოდათ როგორც, პატარებს, ასევე, აღმზრდელ-მასწავლებლებსაც...

როგორც იქნა დასრულდა ჩვენი გასაჭირი და ახლა ჩვენი პატარები არიან განახლებულ და გალამაზებულ, ყველაფრით უზრუნველყოფილ შენობაში, თანაც სუფთა, მოვლილ და მოწესრიგებულ ადგილას. ამ ყველაფრისთვის კი, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი ბაღის გამგეს ნინო პატარქალაშვილს, რომელმაც დიდი შრომა გასწია მშობლებთან ერთად, არ დაიშურა მცდელობა და ძალისხმევა, რათა ეს მიტოვებული სახლ-კარი ჩვენი შვილებისთვის გადმოეცათ და როგორც კი დასრულდა ახალი ადგილ-სამყოფელის სარესტავრაციო, აღდგენითი სამუშაოები, აქ მომუშავე პერსონალთან ერთად, მშობლებიც გაერთიანდნენ, ყველამ ერთად რწმენითა და იმედით დავალაგეთ, მოვაწესრიგეთ, კიდევ უფრო გავალამაზეთ ეს საოჯახო ტიპის კარ-მიდამო, ჩაფიქრებული გვაქვს, რომ აქაურობა ბაღნარად ვაქციოთ. ზრუნვისა და დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ადგილობრივ ხელისუფლებას, ბატონებს მანუჩარ მერებაშვილსა და დავით ლეონიძეს, აგრეთვე, ჩვენი გაერთიანების ხელმძღვანელს ქალბატონ მანანა ხვთისიაშვილს, მათ ძალიან მოინდომეს, მხარში დაგვიდგნენ, ენით აუწერელ სიხარულს განიცდის სოფელი.

მერი მამულაშვილი, აღმზრდელი – უკვე ორი წელია, მეტეხის საბავშვო ბაღში ვმუშაობ. ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პირველი სამუშაო დღე და შეხვედრა პატარებთან. მართალი გითხრათ, თავიდანვე გაცნობიერებული მქონდა, თუ რაოდენ საპასუხისმგებლოა ბავშვებთან ურთიერთობა, ყოველდღიური კონტაქტი, სააღმზრდელო პროცესის თანმიმდევრულად და სრულყოფილად წარმართვა, მოკლედ, მომავალ თაობაზე ზრუნვა ხომ ბაღის კედლებიდან იწყება და ამიტომ აქ გატარებული ყოველი დღე წარუშლელ კვალს ტოვებს... წელან, ბაღში მოსვლისა და ბავშვებთან შეხვედრის პირველი დღე ვახსენე, ნამდვილად ვერ დავივიწყებ, ალბათ, ამაზე ყველას, ჩემს კოლეგებსაც და მშობლებსაც ერთნაირი შეგრძნება და დამოკიდებულება აქვს, რომ ძველ შენობაში ყოფნა უკვე გაუსაძლისი იყო. ურთულეს პირობებში გვიწევდა ყოფნა, მოძველებულ, ამორტიზებულ შენობაში ყოფნა ერთგვარ რისკთანაც კი იყო დაკავშირებული... რა კარგია, რომ ეს განსაცდელი სამუდამოდ ავიცილეთ თავიდან და ჩვენმა ბავშვებმა ახლა უკვე გალამაზებულ, ახალ ადგილას დაიდეს ბინა და ამით მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა ამაყობს, თავს იწონებს, უკვე შეგვიძინეს მოხერხებული საწოლები, ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარი, სააღმზრდელო ლიტერატურა, ერთი სიტყვით, აქ ბავშვის სრულფასოვანი აღზრდა - განვითარებისათვის ყველანაირი პირობებია შექმნილი.

მაია ძამუკაშვილი, მშობელი – მინდა სამადლობელი სიტყვებით გამოვხატო ჩემი შთაბეჭდილება და ემოცია იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს ბავშვებს, მათ შორის გახლავთ ჩემი ორი შვილიც, ამიერიდან ლამაზ, მოხერხებულ და ყოველნაირად მოწესრიგებულ, კომფორტულ ბაღში უწევთ სიარული.

მახსენდება ძველი ადგილი, ის უსახური და ამორტიზებული შენობა, იქ არსებული უამრავი პრობლემა, აღარ მინდა ამის გახსენება, მარტო მე კი არა, ამას მთელი სოფელი განიცდიდა და აი, ახლა ეს უიმედობა, გასაჭირი უკან მოიტოვეს ჩვენმა პატარებმა... კასპის მუნიციპალიტეტის დახმარებით და უდიდესი მცდელობით ჩვენმა ბაღმა ახალ სახლობა იზეიმა. გვაქვს საუკეთესო პირობები, მშობლები იმედიანად არიან, რადგან ბავშვებს აქვთ სამჯერადი და სრულფასოვანი კვება, კეთილმოწყობილ, ნათელ ოთახებში პატარები თავს კომფორტულად გრძნობენ, აღარც ზამთრის მოსვლის გვეშინია, რადგან ბაღს გააჩნია ცენტრალური გათბობა და რა თქმა უნდა, თანამედროვე სტანდარტებით დამონტაჟებული სველი წერტილები. საბავშვო დაწესებულების მშვენება გახლავთ ფართო და მოწესრიგებული ეზოგარემო, სადაც ბავშვებს ძალიან მოსწონთ ყოფნა, სწორედ ამიტომ არის, რომ მათ ყოველ დილას ბაღში მიუხარიათ, მათთან ერთად, კმაყოფილები არიან მშობლებიც. კარგია, როცა პატარები დამსახურებულ ზრუნვას იღებენ.

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ძმები კელაპტრიშვილები

მდიდარი წარსულით ცნობილ კავთურის ხეობის გამოჩენილ ადამიანთა შორის განსაკუთრებული პატივით იხსენებენ ძმებ კელაპტრიშვილებს, რომლებმაც ნიჭით, მამულიშვილური სიყვარულით თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული პოლიფონიის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში და წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული კულტურის ისტორიაში...

სამი ათეული წლის განმავლობაში ღირსეულად, წარმატებით ხელმძღვანელობდა ჩვენი რაიონის კულტურის სამსახურს გერისო კელაპტრიშვილი. ის გახლდათ მრავალი საინტერესო წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი, მისი თაოსნობით შეიქმნა კასპში ფოლკლორული ანსამბლები "მზეკაბანი", "თევდორე", რომლებიც შემდგომში მრავალი პრესტიჟული ფესტივალის ლაურეატები გახდნენ, სწორედ გერისო კელაპტრიშვილის სახელთან ასოცირდება 2005 წელს კინომცოდნე გოგი დოლიძესთან ერთად შექმნილი სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი, რომლის გამგეობის წევრი თავად გერისო კელაპტრიშვილი გახლდათ და წლების განმავლობაში უდიდესი რუდუნებით, ენთუზიაზმით უძღვებოდა ამ მამულიშვილურ წამოწყებას.

გერისო კელაპტრიშვილს ქართლის რეგიონში იცნობდნენ როგორც განუმეორებელ თამადასა და მომლხენს...

ადრეულ წლებში, ვიდრე მსოფლიო გაიცნობდა აღიარებულ ქართველ ხელოვანს, სალამურის ვირტუოზულ შემსრულებელს ომარ კელაპტრიშვილს, ძმები ერთად გამოდიოდნენ დიდ სცენაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ისინი ბევრჯერ გახდნენ მრავალი

მუსიკალური კონკურსისა თუ ფესტივალის ლაურეატები...

და მაინც, გერისო კელაპტრიშვილმა სიამოვნებით, უფრო სწორად კი, "სამართლიანად" დაუთმო ასპარეზი უმცროს ძმას, სავსებით დარწმუნებულმა, რომ (სხვათა შორის, მან პირველმა ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოაჩინა ომარ კელაპტრიშვილის მუსიკალური ნიჭი) ომარი სცენისათვის იყო დაბადებული და ამის გამო იგი ყველგან დიდი სიამაყით აცხადებდა, ჩემს ძმას, ომარს სულ სხვა ბგერა და სალამურზე შესრულების უნიკალური ხიბლი აქვსო...

ძმის ალღო არ შემცდარა, ომარ კელაპტრიშვილმა, როგორც უბადლო მუსიკოს-შემსრულებელმა თავისი მოღვაწეობის მრავალი წლის მანძილზე მსოფლიოს არაერთი დიდი და სახელგანთქმული საკონცერტო დარბაზის მსმენელი მოხიბლა და აღაფრთოვანა, ჭეშმარიტ ხელოვნებას აზიარა.

ლეგენდარული ფოლკლორული ანსამბლ "რუსთავის" უცვლელი სოლისტი, მრავალგზის მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალებისა და უამრავი კონკურსის ლაურეატი ომარ კელაპტრიშვილი ბრწყინვალედ ფლობდა ხალხურ საკრავებს, მას მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტისა და

საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდებები.

მსოფლიო პრესამ, მრავალმა უცხოურმა გამოცემამ იგი ლეგენდარულ მუსიკოს-შემსრულებლად აღიარა. ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს მთავრობის უდიდესი ძალისხმევითა და მხარდაჭერით 2003 წლის შემოდგომაზე მუსიკოსის მშობლიურ კავთისხევში გაიხსნა მისი სახელობის სახლ-მუზეუმი, მისი სახელი მიენიჭა კავთისხევის სამუსიკო სკოლას, 2007 წელს თბილისის მერიამ ომარ კელაპტრიშვილის საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გახსნა მისი სახელობის სკვერი, სადაც დაიდგა მუსიკოსის ბიუსტი...

უკვე შვიდი წელია, ჩვენი ქალაქის კულტურის ცენტრის შესასვლელს ამშვენებს ლეგენდარული მუსიკოს-შემსრულებლის ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი...

კელაპტრიშვილების შემოქმედებასა და დამსახურებაზე კიდევ უფრო ვრცლად, ამომწურავად ისაუბრეს ახლახან კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართულ ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები, პედაგოგები, მშობლები.

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე, ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვები: ქეთი ჭალისური, მაია თაბუაშვილი, თამარ გოჭოშვილი, მიხეილ

სამხარაძე, ნინო ბერუაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, მარიამ თიგიშვილი, უჩა გოგოლაძე, მარიამ ნუგზარიშვილი, თემურ ირემაშვილი, ზაზა მუმლაური და ლუკა მერებაშვილი.

– ძმები კელაპტრიშვილები და საერთოდ, საკავთისხეოს სახელოვანი ადამიანები არა მხოლოდ ჩვენი რაიონის, მთელი საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო ნაწილია, – განაცხადა შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა, – ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვები ასეთი მონდომებითა და საფუძვლიანად სწავლობენ, ეცნობიან მუნიციპალიტეტის სასიქადულო მოღვაწეთა ცხოვრებას და შემოქმედებას.

კელაპტრიშვილების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე თბილი მოგონებით გამოვიდა მათი ოჯახის მეგობარი, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი ლია ნიპარიშვილი, სიტყვებით გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დალი კორკომაშვილი, კასპის სპორტული კომპლექსის წარმომადგენელი ამირან ტალახაძე და სხვები.

ღონისძიების ბოლოს, დარბაზში შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა და მადლობა გამოუცხადა მოსწავლეებს აქტიურობისა და ორგანიზებულობისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ჩვენი ენა ქართული

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საინტერესო ღონისძიება ეგიდით "ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ." ეს ღონისძიება იმითაც იყო ორიგინალური, რომ მასში მონაწილეობდნენ ბავშვები... საქმე ის გახლავთ, რომ სპეციალურად ამ დღისათვის საგანგებოდ მოემზადნენ კასპის მესამე საჯარო სკოლის /დირექტორი მარინე ქონიაშვილი/ მეოთხე ა კლასის /დამრიგებელი ცირა შაქარაშვილი - ზერეკიძე, პედაგოგი ნინო გეჯაძე/ მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს სანახაობრივად ლამაზი, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, რომელშიც ნათლად აისახა ბავშვების მომზადების დონე, ინტერესი და მონდომება, მოკლედ, მოსწავლეებმა გასაოცარი სიყვარულით, შთამაგონებელი მუხტით აჩვენეს ქართველთა ეროვნული საგანძურის დედა ენისადმი სამარადჟამო სიყვარული და მოწიწება. ბავშვები მეტყველებდნენ გამართული ქართულით, სწორად და გასაგები ენით... სამკითხველო დარბაზში ჟღერდა ფონოგრამა – აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის განუმეორებელი "ხმა კატამონთან". დედა ენისადმი მიძღვნილი ღონისძიება კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა ბავშვების შემოქმედებამ, იყო ლექსი, სიმღერა, შესრულდა ქართული ცეკვაც, სოლისტები: ლიზი გაგაძე და გიორგი სეხნიაშვილი.

სიტყვებით გამოვიდნენ გაერთიანების სპეციალისტები: ლია მენაბდიშვილი და ლია სოზიაშვილი, მშობელი ლიკა ონეზაშვილი, პედაგოგი ნინო გეჯაძე. შეხვედრის ბოლოს, ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, მშობლებს და ზეიმის მონაწილე მოსწავლეებს წამახალისებელი სიგელები გადასცა. შეხვედრა მიჰყავდა ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტს და ამ ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორს მაია ქესაურს.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

ყველა დროსა და სინამდვილეს სამყაროს მშვენიერი ნაწილი ალამაზებს, ლაზათსა და იმედს მატებს ყოველდღიურობას, მომავალს. ქალბატონების ჩუმი მსახურება ოჯახსა თუ ქვეყანაში განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ამ მშვენიერ ხელებს (უხილავადაც) უპყრიათ შვილების მომავალიც, მეუღლეების ერთგულებაც და სამშობლოს ხვალინდელი, უკეთესი დღე.

გ ი ო რ გ ი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა კასპელ შემოქმედ ქალთა ნამუშევრების გამოფენა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ კულტურისა და განათლების მუშაკები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, პრესის მუშაკები... საგამოფენო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, რომელმაც სტუმრებს დიდი პატივით წარუდგინა გამოფენის მონაწილე ქალბატონები, რომელთა შორის იყვნენ მარიამ ბულაცაშვილი, მარინე კუდუხოვი, ლელა ჯიქური, სოფო ბერიანიძე, ნელი გოგოლაძე, ჟუჟი ჯაბაური, ნინო ქენქაძე, რუსუდან ბარნოვი, მარინა მილაძე-მამალაძე, თეა ქუტაშვილი, ანაიდა ბეინაშვილი, სალომე ბექაური, მაია შაველაშვილი, ხათუნა მერებაშვილი და ლია აფციაური.

ქალთა ნამუშევრების გამოფენა

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ ფერწერულ /სულ 15 ნახატი / ნამუშევრებთან ერთად დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობდა თექის ნამუშევრები და ნაქარგები, სხვადასხვა ნაკეთობები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები... კასპელი ქალბატონების შემოქმედება დადებითად შეაფასეს გამოფენაზე მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე, მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, მხატვარი იორამ იმედაშვილი, საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ლია ნიპარიშვილი და სხვები... გამოფენამ ორკვირაზე მეტხანს გასტანა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

სულიერების გადასარჩენად

„ლოცულიყვილოთ ცხემშობლოვ ჩემო!"

ერთ ინტერვიუში ოთარ ჭილაძე ამბობს მწერლობა უფრო ძებნაა, ვიდრე მოლოდინი. ოთარ ჭილაძე ეძებს და მასთან ერთად ძიების პროცესშია ჩართული მკითხველიც - ფიქრობს, განიცდის, მუშაობს.

საბჭოთა ეპოქაში ტექსტის შენიღბვა, შესაძლოა, საუკეთესო საშუალება იყო ცენზურისგან თავის დასახსნელად. თუმცა ჭილაძეს სააზროვნო სტილი აქვს ასეთი, მისი ენა ყოფიერების იმ ფენებთან გვაახლოებს, რომლებიც ჩვენს სასიცოცხლო სივრცეს ემიჯნებიან.

გ ე ნ ი ა ლ უ რ ი ქართველი მწერლის დაბადების დღეს მიეძღვნა მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის თეატრალური წრის /ხელმძღვანელი ლია მენაბდიშვილი/ ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია "ბავშვები კითხულობენ ჭილაძეს".

ოთარ ჭილაძის ბიოგრაფია, მისი ლექსები, ათი მცნება ოთარ ჭილაძისაგან წარმოგვიდგინეს: ანა სეხნიაშვილმა, მარიამ მერებაშვილმა, ელენე ავალიანმა, მარიამ ელბაქიძემ, გვანცა ევანისელმა, სალომე ნაცვალაშვილმა, ნინო ბერიანიძემ. წარმოდგენილ კომპოზიციაზე და ოთარ ჭილაძის შემოქმედებაზე საინტერესოდ ისაუბრა მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა; სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა სამადლობელი სიტყვით მიმართა წრის მოსწავლეებს; მოსწავლეებს მიესალმნენ: ამავე გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი; მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის სასწავლო ნაწილის გამგე მარინე ნაგელიშვილი; სპეციალისტი თამარ რუსიშვილი; საკუთარი აზრი გამოთქვეს მოსწავლეებმა. ძალიან თბილი გახლდათ ელენე ავალიანის ბებიის, დალი ავალიანის, მშობლების მაია ქესაურისა და მარინე დალაქიშვილის გამოსვლა. მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტმა თიკო ციხისთავმა ბავშვებს მორიგი კომპოზიციის თემაც უკარნახა - გალაკტიონი. საღამომ გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. **კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**

თანადგომა

ქვემოჭალელი აბულაძეების მრავალშვილიანმა ოჯახმა უმძიმესი ტრაგედია გადაიტანა. ოჯახის დიასახლისს, ახალგაზრდა, ხუთი მცირეწლოვანი შვილის დედას ექიმებმა უკურნებელი სენი დაუდგინეს, რომ იტყვიან, ქვაც კი იწვოდა ბიჭების ცოდვით, მთელი სოფელი თანაუგრძნობდა...

ოჯახის დასახმარებლად რა არ იღონეს, ტარდებოდა საქველმოქმედო აქციები, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები, მაგრამ ამაოდ, ხუთი მცირეწლოვანი ბიჭი, მათ შორის ყველაზე ნაბოლარა ჯერ ისევ საბავშვო ბაღში დადის, მამისანაბარა დარჩა.

ბავშვების მამამ შალვა აბულაძემ, ძალიან კარგად იცის, თუ რა არის ობლობა, რადგან თვითონ და მისი დაც ობლობაში გაიზარდნენ და უდედოდ დარჩენილი შვილებისათვის ყველაფერს აკეთებს... ასეთ ოჯახებს ნამდვილად სჭირდება გვერდში დგომა და დახმარება, როგორც მატერიალური, ასევე მორალური. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს კასპის რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რუსუდან მიგრიაულისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის გიული სოზიაშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით სააღდგომოდ ობოლ ბიჭებს სასურსათო პაკეტი გადაეცათ.

გულით გაიხარეს პატარებმა სადღესასწაულო ნობათით, იმედია, ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია და ვისაც შეეძლება ყველა დაეხმარება, საზოგადოება არ მიატოვებს ბედისანაბარა დარჩენილებს...

თუ თავადაც ძნელად იჯერებ

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის,



მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

ძმები პაპინაშვილების სააპრილო

უფროს ძმას, ამირანს, წლევანდელ ივნისში 30 წელი უსრულდება. ქვეყნის ნაკრებ გუნდში ის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია. ტიტულები არ აკლია. ახლახან, მარტში, "თბილისის გრან პრიზე" იჭიდავა და ფინალური ორთაბრძოლა, მართალია, დათმო ახალგაზრდა კონკურენტთან, მაგრამ მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ერთიცა და მეორეც აპრილის ბოლოს ევროპის პირველობაზე გამოვა ისრაელში და, ეგების, მათი გზები ისევ ფინალში გადაიკვეთოს (26 აპრილს).

აი, უმცროს ძმას, ჯაბას, კი მეორე დღეს შეუსრულდება 20 წელი. ის ახალგაზრდულ ნაკრებში ფრიად პერსპექტიული ძიუდოისტია და იმავე წონაში ძმის შემცვლელადაც მოიაზრება. აგერ, აპრილის დასაწყისში "ანტალიის გრან პრიზე" ვერცხლის მედლის დაუფლებით ჯაბა გახდა მსოფლიოს ახალგაზრდული რეიტინგის ლიდერი – ბრავო! შეგახსენებთ, რომ 2017 წლის ოქტომბერში მან მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში. საინტერესოა, რომ ამ დონიდან მოხვდა უფროსთა რეიტინგშიც. ამჟამად მე-60 პოზიციაზეა 540 ქულით, რადგანაც თურქეთში წარმატებით ერთბაშად 203 (!) საფეხურით წაიწია. დავაზუსტებთ იმასაც, რომ ახლა ჯაბა პაპინაშვილი საუფროსო რეიტინგში მე-3 ქართველია, მე-5 პოზიციაზე მყოფი თავისივე ძმისა და მე-12 ადგილოსანი ლუხუმ ჩხვიმიანის შემდეგ.

საბავშვო ეროვნული ცენტრის ეგიდით

საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის პატრონაჟით კასპში აპრილის ბოლო კვირას გაიმართა 2018 წლის სპორტული ღონისძიებების გრაფიკით გათვალისწინებული თამაშები: კალათბურთში (3 X 3-ზე), 60 მეტრზე რბენაში, ჭადრაკში (მონაწილეობენ ვაჟები და გოგონები), ქუჩის ფეხბურთში.

პრობლემებზე – საქმიან ვითარებაში

19 აპრილს "მრგვალ დარბაზში" სათათბირო-განსასჯელად შეიკრიბნენ სპორტკომპლექსის ხელმძღვანელები, კასპისა და მეტეხის საჭიდაო სკოლების მესვეურები და სოფლების სექციებში მომუშავე მწვრთნელები. ზამთარ-გაზაფხულის თვეებში ნაჩვენები სპორტული შედეგების გაანალიზებისა და სამომავლო გეგმების დასახვის გარდა, სიტყვით გამომსვლელებმა (გიორგი ნიპარიშვილმა, ალექსანდრე ხუციშვილმა, ნუგზარ მამულაშვილმა, ჯემალ ხორბალაძემ, ჯამბულ პაპინაშვილმა, ჰამლეტ წიკლაურმა, გია ჯავახიშვილმა, ბერდია ნატროშვილმა, იოსებ მამულაშვილმა, გიორგი გორგაძემ, მევლუდ ბუნტურმა და სხვებმა) იმსჯელეს სადღეისო ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა: სოფლებში სასპორტო ნაგებობების ნაკლებობა, წარმატებულ სპორტსმენთა წახალისების საჭიროება, ნორჩ სპორტსმენთა ამუნიცია, მწვრთნელთა შემდგომი დაოსტატება და სახელფასო ანაზღაურება, სოფლად ქართული ჭიდაობის გამოცოცხლება და არენების დატვირთვა, ვეტერან მოჭიდავეთა დაუფასებლობა და ა. შ.

ბოლნისური ბონუსმონაგარი

კასპის სპორტული კომპლექსის (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) წარგზავნილებმა – მეტეხის საჭიდაო სკოლის ჭაბუკებმა 14-15 აპრილს ჯილდოები უხვად მოინადავლეს ქ. ბოლნისში. იქ გამართული 22-ე საერთაშორისო მასშტაბის ტურნირი მიეძღვნა 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში და 1990 წლის 20 იანვარს ქ. ბაქოში "სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა" ხსოვნას და მონაწილეობდა საქართველოს 15 რაიონისა და აზერბაიჯანული 3 გუნდის ნორჩი სამბოლელი.

დიახ, მეტეხი დღემდე რომ ინარჩუნებს "ყველაზე საჭიდაო სოფლის" წოდებას, ეს კვლავაც დაადასტურეს იქაური ვეტერანი მოჭიდავე-მწვრთნელების, მამაშვილი ნუგზარ და იოსებ მამულაშვილების შეგირდებმა. აი, ისინიც, 2002-06 წლებში დაბადებული ჭაბუკები – ბოლნისური ტურნირის ჩემპიონები: ვალერი მღებრიშვილი (55 კგ), გიორგი ხინიზოვი (81) და ირაკლი დემეტრაშვილი (მძიმე არაოფიციალურ ტიტულს არა მარტო კასპის რაიონში, ეს კვლავაც დაადასტურეს იქაური ვეტერანი მოჭიდავე-მწვრთნელების, მამაშვილი ნუგზარ და იოსებ მამულაშვილების შეგირდებმა. აი, ისინიც, 2002-06 წონა); ვერცხლის მედალოსნები: ლევან მამულაშვილი (42), ნუგზარ გელხაური (50) და ფრიდონ მჭედლიშვილი (66); ბრინჯაოსნები: ნიკა და გიორგი კალატოზიშვილები (ორივე 42 კგ) და სოსო ჟივიძე (60).

მეტეხელმა ჭაბუკებმა გორშიც იყოჩალეს

მეტეხელმა ჭაბუკებმა სპორტული ჟინი და გუნდური შემართება ქალაქ გორშიც გამოავლინეს.

წარმატების სათამაშო ნიშნული კვლავ მაღალზე დაინარჩუნეს ამჯერად ძიუდოში, ცნობილი ქართველი მოჭიდავის, დურმიშხან ბერუაშვილის, ხსოვნის მემორიალურ ტურნირზე.

ნამდვილად "ხმაურიანი" ეთქმის ორი მათგანის გაჩემპიონებას. დიახ, 2-3 დღეში 2 ტურნირის მოგება ამ ბიჭების სამომავლო შესაძლებლობებში გვაიმედებს. ესენი არიან მძიმეწონოსანი ირაკლი დემეტრაშვილი და 55 კგ-მდე წონის მოჭიდავე ვალერი მღებრიშვილი. მათ ოდნავ "ჩამორჩა" გიორგი ხინიზოვი (81), მან მე-3 ადგილი დაიკავა. საგანგებოდ გამოსაყოფია ტურნირის მსვლელობისას მომხდარი არაორდინალური ფაქტი, რომლის ავტორ-შემოქმედია 15 წლის ბაქარ ერაშვილი (სოფელ ზემო ხანდაკიდან). იგი გახლავთ ვეტერანი მოჭიდავე ძმების, ბაკურ და ბესიკ ერაშვილების დუეტიდან პირველის ვაჟიშვილი, ანუ – მამისა და ბიძის სასახელო სპორტული საქმეების საიმედო გამგრძელებელი, რომელიც ქ. თბილისში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს ბათო ჯიქურის ზედამხედველობით... ნახსენებ შემთხვევას რაც შეეხება: გორში ბაქარმა 5 მეტოქე დაამარცხა, მათ შორის – საქართველოს ჩემპიონი, ხოლო ნახევარფინალში მისი ორთაბრძოლა მეტოქესთან გაგრძელდა... 22 (!) წუთი! გამარჯვების პინა მაინც დაინარჩუნა და ფინალში გააღწია, სადაც "საომრად" იქნებ სურვილი შერჩენოდა, მაგრამ ფიზიკური გამძლეობა ნამდვილად დააღალატებდა და ამიტომ, მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, საჩემპიონო ორთაბრძოლაში აღარ ჩაება. ესაა იშვიათი ამბავი და ასეთ მომენტში "ვერცხლი" უფრო მეტად ფასობს "ოქროზე".

ხსოვნის ტურნირები კასპსა და თეზში

სპორტკომპლექსის "მრგვალ საჭიდაო დარბაზში", რომელსაც წელს აგვისტოში გახსნიდან 60 წელი უსრულდება, 17 აპრილს გაიმართა ქართულ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის – ელგუჯა (გუჯა) გეჯაძის (1957-2016) ხსოვნის მემორიალური ტურნირი ჭაბუკთა შორის.

მანამდე ანალოგიური ხასიათის ტურნირი მოეწყო სოფელ თეზში, სადაც მოჭიდავეთა სამეგობრო წრემ პატივი მიაგო იქაური მოჭიდავის, პაატა ჯავახიშვილის (1959-2015) ნათელ ხსოვნას.

სარემონტო და კეთილმოწყობის ხასიათის

ქალაქ კასპში მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სპორტული ცენტრი, კომპლექსურად თავმოყრილი ობიექტების სახით, 2017 წლის აპრილმაისში გაიხსნა.

განვლილმა ერთმა წელმა გვიჩვენა, რომ მშენებლებმა უამრავი სამშენებლო ნაკლი დაგვიტოვეს. ამიტომაა, რომ გამოსწორება-აღმოფხვრა ახლა უხდება კომპლექსის ხელმძღვანელობას:

ნაგებობებსა და დარბაზებში – სარემონტო ხასიათისა, რაც უკავშირდება ელექტრო, თბო, წყალგაყვანილობის ქსელებს; ეზო-ტერიტორიის მასშტაბით – კეთილმოწყობას, როგორიცაა მოასფალტება, ღობის შელებვა, სახურავისა და ჭერის გამაგრება, სადარაჯო ჯიხურის მოწყობა და სხვა (შიდა და გარეფასადების გადაღებვა, ფიტნესკლუბისა და სავარჯიშო დარბაზების ტრენაჟორებით აღჭურვა).

მიმდინარე დამატებითი სამშენებლო სამუშაოების მიუხედავად, საშეჯიბრო-სპორტული გეგმებით გათვალისწინებული არც ერთი გრაფიკული შეჯიბრება არ ჩაშლილა, არც შინ და არც გარეთ.

კომპლექსის წარმომადგენლებმა გუნდურ სახეობებში აპრილში იასპარეზეს სხვადასხვა შეჯიბრებაში: ქ. თბილისში (აკაკი გოგიჩაიშვილის ტურნირი), ბოლნისში (ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ), ქ. ქარელში (შოთა ხაბარელის ტურნირი), გორში (სამგან) ...

ერთ პრობლემაზე თვალს ვერ დავხუჭავთ: რაიონის ცენტრში უდიდესი სასპორტო ობიექტის ორწლიანმა უმოქმედობამ ფრიად უსიამო შედეგის წინაშე დაგვაყენა – მოჭიდავე ბავშვთა გუნდები აშკარა წარუმატებლობით გამოვიდნენ თითქმის ყველგან. დასანანია, რომ ნაკლებად ჩანან იმედისმომცემი ახალგაზრდები...

კასპის სპორტული კომპლექსი.

ჩვენი მილოცვა აპრილის იუბილარებს

სპორტული კომპლექსის სასპორტო სახეობების მწვრთნელთა და მოსწავლეთა შემადგენლობის სახელით დაბადების დღეებს ვულოცავთ თვის იუბილარებს:

ახალგაზრდა მოჭიდავეებს – რობინზონ ბეგლარაშვილს (დოესი, 1998 წლის 6 აპრილი), ტყუპ ძმებს ნუგზარ და გიორგი სოზიაშვილებს (ოკამი, 2001 წლის 20 აპრილი), გიორგი კაციაშვილს (ქვემო გომი, 1996 წლის 21 აპრილი), ჯაბა პაპინაშვილს (ყარაღაჯი, 1998 წლის 27 აპრილი) ...

ვეტერან მოჭიდავეებს – ზურაბ ბახტაძეს (ხოვლე, 1954 წლის პირველი აპრილი), გოდერძი ნონიკაშვილს (კავთისხევი, 1940 წლის 14 აპრილი), ვეფხვია რაზმაძეს (ლამისყანა, 1960 წლის 14 აპრილი) ...

..თუ ვინმე გიყვარდეს, თუ ვინმეს იცრეთი..

ჩვენი ქალაქის კულტურის ცენტრში ჩატარდა სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერია და კულტურის სამსახური, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და სიყვარულის დღე მიულოცა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ... იყო ემოციები, დადებითი განწყობა, მაყურებელი ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდა სცენაზე გამოსულ მომღერლებსა და მოცეკვავეებს, დეკლამატორებს, ახალგაზრდა შემსრულებლებს.

– საგულდაგულოდ შეირჩა საკონცერტო პროგრამა, რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა რეპეტიციები, განხილვები, – აცხადებს კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი და ამ ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი ნუნუკა სუსუნიაშვილი, – ყველას სურვილი იყო, რომ კონცერტი დასამახსოვრებელი, საინტერესო და მოსაწონი ყოფილიყო.

მართლაც, საინტერესო მოულოდნელობა აღმოჩნდა მაყურებლისათვის ქორეოგრაფიულ ანსამბლ "მეტეხის " ქორეოგრაფის ცისანა დარჩიაშვილისა და სამეჯლისო ცეკვების ქორეოგრაფის გიორგი მჭედლიშვილის მიერ შესრულებული ცეკვა "ქართული". დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას საკუთარი პოეზია წარუდგინა პოეტმა ზვიად ნავროზაშვილმა. კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიას სიმღერით "ზღაპარი სიყვარულისა", მოწონება დაიმსახურა ლია სოზიაშვილისა და ზაზა მენაბდიშვილის დუეტმა. მარიკა კვალიაშვილის ცნობილი ჰიტი "ცოტა კიდევ მოითმინე გულო" შეასრულეს კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა ნინო მერებაშვილმა, ნინო ხუციშვილმა და ანსამბლ "მოურავის" სოლისტმა რეზო კერესელიძემ. სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა ლალი ღვინიაშვილმა და გიორგი ხასიშვილმა შეასრულეს საინტერესო საესტრადო სიმღერა "არაფერი არ მომხდარა". კომპოზიტორ ნატო გელაშვილის სიმღერა "ნახვამდის" შეასრულა კასპელმა პედაგოგმა მანანა ხოხაშვილმა. შემდეგ სცენა დაეთმო კასპის პირველი საჯარო სკოლის ყოფილ პედაგოგს ნელი ნონიკაშვილს, რომელმაც მხატვრულად წაიკითხა ნოდარ მდივანი.

ნარაძის ლექსი "ჩვენ საქართველო დედად გვიცვნია". ქორეოგრაფიულ ანსამბლ "იმედის" ხელმძღვანელმა ინგა თაბუკაშვილმა თავის მოსწავლე სოსო ბერიაშვილთან ერთად შეასრულა ცეკვა "ოსური". კომპოზიტორ გია მაჭარაშვილის სიმღერა "ცაზე იცინის" შეასრულეს პედაგოგებმა ნინო მერებაშვილმა და თამუნა ხოკრიშვილმა. მოწონება დაიმსახურა ალექსანდრე ბასილაიას სიმღერამ "ალუბლები", რომელიც შეასრულეს ნინო ხუციშვილმა და ნინო მერებაშვილმა. მომღერალთა ტრიომ – ლია სოზიაშვილის, ნინო ხუციშვილის და ზაზა მენაბდიშვილის შემადგენლობით შეასრულა კომპოზიტორ მაცაცო სებისკვერაძის "სიყვარულთან თამაში". კომპოზიტორ გიორგი შალვაშვილის სიმღერა "საკუთარი ბედნიერება" შეასრულეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლემ მაკა თათრიშვილმა და გიორგი ხასიშვილმა.

ცეკვა "აჭარულით" წარდგნენ მაყურებლის წინაშე ანსამბლ "დიდგორის" პირველი გამოშვების მოცეკვავეები მარიკა ბიჭიკაშვილი და შალვა მესროფაშვილი. ჯემალ სეფიაშვილის ცნობილი ჰიტი "ციდან შენთვის დავეშვი" შეასრულეს მომღერლებმა ხათუნა ხაჩიძემ და მიხეილ ქოსაშვილმა და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ეთერ ჭელიძის სიმღერას "ჭაღარა თბილისო ჩემო", რომელსაც ასრულებდნენ ზაზა მენაბდიშვილი და მიხეილ ქოსაშვილი. საინტერესო იყო ანსამბლ "მოურავის" სოლისტის დიმიტრი მჭედლიშვილის გამოსვლაც, რომელმაც შეასრულა ნატო გელაშვილის სალაღობო "ეშხიანი ქალები".

საზეიმო კონცერტს უძღვებოდნენ ლია სოზიაშვილი და ზაზა მენაბდიშვილი.

იმედია, შეხვედრამ მხოლოდ დადებითი ემოციები დაბადა მაყურებელში, ან სასურველი მუსიკა საღამოს ლაიტმოტივად აეკვიატა ცოცხლად შესრულებული მუსიკით გალაღებულ მსმენელს.

ლაიტმოტივი კი ყველას თავისი აქვს, მაგალითად: "მონატრებიხარ ფიქრებს, მომნატრებიხარ მე ..."

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ქართული ენის დღე ფერმის საჯარო სკოლაში

აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ ფერმის საჯარო სკოლაში, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანელი ბავშვები სჭარბობენ, თუმცა, ფერმელები განსაკუთრებულ ინტერესსა და პასუხისმგებლობას იჩენენ სახელმწიფო ენის მიმართ, მარტო ბავშვები კი არა, უფროსი ასაკის ადამიანებიც გამოთქვამენ ქართული ენის სრულყოფილად შესწავლის სურვილს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოხატავენ ქართულისადმი პატივისცემას... ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ქვეყნის მასშტაბით გამართულ დედა ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა.

– წლევანდელი წელი გამონაკლისი არ გახლავთ, 14 აპრილს, ქართული ენის დღეს ყოველ წელს აღვნიშნავთ, – აცხადებს ფერმის საჯარო სკოლის დირექტორი შახალ ისმაილოვი, – ზეიმისთვის ახლაც ძალიან კარგად მოემზადნენ ჩვენი ბავშვები და ლამაზი, სანახაობრივი ღონისძიება ჩატარდა სკოლაში, სადაც მთელმა სოფელმა მოიყარა თავი, აქ იყვნენ მშობლები, აგრეთვე, სკოლის კურსდამთავრებულები და მოწვეული სტუმრები. სახელმწიფო ენის შესწავლას ჩვენს სკოლაში ყურადღებით ვეკიდებით, ცხადია, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თუ გვინდა, რომ უპრობლემოდ და სწრაფად მოხდეს არაქართველი მოსახლეობის ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებასთან.

ღონისძიების წამყვანმა მერვეკლასელმა ანი ბალხამიშვილმა თანატოლებსა და დამსწრე საზოგადოებას საინტერესოდ და ვრცლად მოუთხრო დედა ენის ისტორიაზე, სკოლის მოსწავლეებმა: ალინა ჯაფაროვმა, მარიამ დავით კიზიმ, ფარია ნასიბოვმა და ყველი რამაზი კიზიმ საზოგადოებას გააცნეს იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია და შემოქმედება... ძალიან საინტერესო შეხვედრა გამოვიდა, სოფლის მოსახლეობა, მშობლები და მოწვეული სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ სკოლის მოსწავლეების აქტიურობით.

„და ესე ენაი შემკული და კურთხეული„



“ქართული ენა ერის სულის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა. ქართული ენა – ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუნდობელია, ვითარცა გონება და სიყვარული, მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო, ზეცაა მისი სანყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი... სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტიცხოველი და ნაზი ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული ნამი”.

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მეხუთათბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე.

საქართველოს უახლეს ისტორიაში 1978 წლის 14 აპრილი უმნიშვნელოვანესი თარიღია. დღე, როდესაც მთელი ერი დაირაზმა – ქართველთა საუნჯის – დედა ენის დასაცავად... მერე კი, 1985 წლიდან საქართველოს ეკლესიამ საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და აღნიშვნის დღედ განაჩინა. როგორც დიდი ქართველი პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი ბრძანებდა “ენა ბურჯთაგანია კულტურისა, მაგრამ მარტო მწერალსა და მეცნიერს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეს არ შეუძლია მისი შენახვა და გამდიდრება, ეს უღელი და განძი მთელი ხალხის საზიდავია”. დიახ, ეს წმინდა მისია, საპატიო უღელი ხალხმა უნდა ზიდოს, რამეთუ, ენა არის დედაბოძი ქვეყნის სიმტკიცისა, ერთიანობისა და სიძლიერისა... სწორედ ამ თემებზე ისაუბრეს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან არსებულ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დირექტორი ლელა პეტრიაშვილი/ გამართულ დედა ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი) მოსწავლეების ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო. ქართული ანბანით “ხელდამშვენებულმა მოსწავლეებმა” ძალიან საინტერესო, შინაარსიანი და სანახაობრივი წარმოდგენა გამართეს... ამდენად, მზადებული ღონისძიება შეაფასეს მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე, საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ლია ნიპარიშვილი, პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი და სხვები.

აღნიშნული ლიტერატურული კომპოზიცია სახელწოდებით - “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა” კიდევ უფრო სახალისო გახადა მოსწავლეების გამოსვლამ, აქტიურობდნენ უჩა გოგოლაძე, ქეთი ჭალისური, თამარ გოჭოშვილი, ანზორ დალაქიშვილი, მარიამ ნუგზარიშვილი, თემურ ირემაშვილი, ანა ბაისონაშვილი, მარიამ და ლუკა მერებაშვილები, ნინო ბესიაშვილი, მიხეილ და სალომე სამხარაძეები, მარიამ თიგიშვილი, ზაზა მუმლაური. მოსწავლეთა ძალებით მოსწავლეთა სახლს სტუმრობდა პოეტი ზვიად ნავროზაშვილი, რომელმაც ბავშვებს გააცნო საკუთარი შემოქმედება და საჩუქრად გადასცა თავისი ლექსების კრებული. შეხვედრის ბოლოს სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვებს გადასცა საპატიო სიგელები.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

საჯარო სკოლებისათვის ცნობილია, რომ 2017 წლის ივნისიდან საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ) დანიის უმაღლესი საფეხურის მასწავლებელთა ეროვნულ პროფკავშირთან თანამშრომლობითა და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს 18-თვიან თანადგომისა და მხარდაჭერის პროექტს თემაზე “საქართველოში განათლების პოლიტიკის ადვოკატირების შესაძლებლობებისა და სკოლის დემოკრატიული მართვის უნარების განვითარება”. პროექტი ითვალისწინებს ოთხდღიან სემინარს შემდეგ თემებზე: “სკოლის დემოკრატიული მართვის კულტურა”, “სწავლების შეფასების სისტემა და მოსწავლეთა უკუკავშირი”, “ინტერნეტ-კომუნიკაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში” და “მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების გარემო თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებით”.

პროფესიული ზრდისა და განვითარების ოთხდღიანი სემინარის მიზანია დანიური გამოცდილების გაზიარება და სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვა საქართველოს სკოლებში. სემინარებს უძღვებიან საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ გადამზადებული დანიის უმაღლესი საფეხურის სკოლების ექსპერტ-პედაგოგები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად საქართველოს საჯარო სკოლების პედაგოგებს მიეცათ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ სპმთპ-სა და დანიის უმაღლესი საფეხურის მასწავლებელთა პროფკავშირის ერთობლივ საპილოტე პროექტში. შესაბამისად წყნეთში, სპმთპ-ს ბაზაზე უკვე ჩატარდა სამი ოთხდღიანი სემინარი თემებზე: “სკოლის დემოკრატიული მართვის კულტურა”, “განმავითარებელი შეფასების სისტემების და უკუკავშირის კულტურა” და “ინტერნეტ-ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება სწავლების პროცესში”. როგორც სპმთპ- დან იყო მითითებული ამ მესამე სემინარში კასპის პირველი საჯარო სკოლიდან ორმა სერთიფიცირებულმა მასწავლებელმა: თამარ მოწყობილმა და ლალი რომაშვილმა მიიღეს მონაწილეობა. ისინი ოთხი დღის განმავლობაში, 22-25 მარტს (განათლების სამინისტროს ნებართვით, გაცდენილი გაკვეთილების სრული ანაზღაურებით) იმყოფებოდნენ წყნეთში.

მოკლედ, ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები კმაყოფილი დაბრუნდნენ სკოლაში და მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ კოლეგებს.

კენჭურა

გილოცავთ!

სკოლამდელი აღზრდის ჯგუფი „ალბერტინა“ ულოცავს დაბადების დღეს მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლის დირექტორს ქალბატონ შორენა შეშაძეს, უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს.

გიული სოზიაშვილი.

გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ბავშვი თუ ყრმა სკოლას ვერ ივლიდეს შეცვლილ ბლოკებს გაზეთის ცვშუალებით თვრთა მკითხველს გავცნობ ცვყოთვრი სკოლის იტერიალ და ვწყო, 2017-2018 ცვცწავლო წლის გაბმავლობაში შეცვლილ ბლოკებ გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიმწოდებელი, გაზეთის თანამშრომლების მეშვეობით ცვჯარი გაცალოთ თქვენი პრობლემები, დაცალოთ სკოლის ცვხოვრებელი ცვმომავლო გეგმები, ყველას გავცნოთ ოვაწლომოცილი, ცვალგაზრდა თუ ცვალბედა პედაგოგები, გვიამბეთ ცვლ და როგორ ცხოვრობთ, რა გცხოვრობ,...

გავაცანით თანამშრომლებს თქვენი ყურადღებამოვრებული მეტენავტები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების ცვყოფიერა და უმეშვენიერეს წლებს ვალტერებთ სკოლაში და გვინდა, რომ იქ გალტერებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაჯილდოებული.

გამოგვიხმაურეთ!

ფოტო-მეტიანი

,,ახალი განთიადი,, იძლევა ცალინტერესო ფოტო-მეტიანს რომელის ცვგვაზეთი ფოტო-მეტიანის შეცვალოდა. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - დადოთ თქვენი ყველა ჩვენს მეტიანეში! გამოგვიგზავნეთ ცალინტერესო და ცალახალი ფოტოები!

როგორ მშობლებს არ სურალიათ...

წლებია ვეწდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იწით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოლონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გაანფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "კენჭურა".

ხსოვნა

მალხაზ მორბედაძე

ჩემო ძვირფასო და საყვარელო პაპა, 2 აპრილს სამი წელი შესრულდა, რაც ჩვენგან წახვედი.

ჯერაც არ გაგვნელებია შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, განცდა... ახლა მხოლოდ ერთად გატარებული დღეებით ვინუგეშებთ თავს.

ახლაც ნათლად გვახსოვს ის დაუვიწყარი, თბილი, შენეული მზრუნველობით აღსავსე დრო. მუდამ თავს გვევლებოდი, შენ იყავი ჩვენი ოჯახის დასაყრდენი, მოამაგე.

ჩვენო კარგო პაპა, არ დავივიწყებთ შენს ამაგს. გვახსოვს, რა ბედნიერი იყავი, როცა ჩვენს წარმატებებს იგებდი.

შენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა სახლს რომ გვიშენებდი, ახლა სწორედ ამ სახლში ვცხოვრობთ, ძალიან გვეამაყებაბა პაპისეული დანატოვარი, იმასაც ნათლად ვგრძნობთ, რომ ისევ შენი ნათელი სული დაგვტრიალებს.

მე და მათე ხშირად ვსაუბრობთ შენზე, პაპასთან გატარებულ წლები აღარ ახსოვს ნიასაც, ის ხომ პატარა იყო; ხო, მართლა, ჩვენ პატარა ელენიკოც გვყავს, რომ გაიზრდება, მასაც ვუამბობთ ზღაპრულ პაპაზე, მანამდე კი, შენთვის ვილოცებთ.

ჩვენ ხშირად მოვალთ საფლავთან და მუხლს მოვიყრით შენი ხსოვნის წინაშე.

ნუცა მორბედაძე,
შვილიშვილი.

იოსებ ქვათაძე

შვილო, სოსო, ახლოვდება ტკივილიანი, ცრემლიანი, ჩემთვის თავზარდამცემი 16 მაისი, შენი გარდაცვალების დღე...

წელიწადი გისრულდება, რაც წახვედი ჩვენგან, შვილო, რა უიღბლო ყოფილხარ, გაუფრთხილებლობით, უყურადღებობით დაღუპე საკუთარი სიცოცხლე, ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდი, კიდევ კარგი, რომ ამ ავარიას სხვა არავინ ემსხვერპლა და სხვისი ცოდვაც არ აიღე...

შვილო, სოსო, წახვედი ამ წუთისოფლიდან და სამუდამოდ დამიტოვე გაუნელებელი ტკივილი, დედის გული ხომ ვერასოდეს დაივიწყებს შვილის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას.

ენატრები შენს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

უფალს ვთხოვ შეგინდოს, წმინდა სასუფეველი დაგიმკვიდროს სამარადისო ქვეყანაში.

ოჯახი.

კასპში, ტარიელ შარიფაშვილის ქუჩაზე დამისამართების ძველი აბრები ახლით შეიცვალა. ტარიელ შარიფაშვილის ქალიშვილმა თამარ შარიფაშვილმა, მერიის თანამშრომლებთან ერთად მოსახლეობას ახალი აბრები გადასცა.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76